იოჰან გოტფრიდ ჰერდერის თვალსაზრისი პროგრესის შესახებ

ფიქრია დიდებაშვილი
სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

ახალი, მნიშვნელოვანი ნაბიჯი საზოგადოებრივ პროგრესის პრობლემის დამუშავებაში XVIII ს-ის გერმანელმა განმანათლებელმა, ფილოსოფოსმა, იოჰან გოტფრიდ ჰერდერმა (1744 -1803) გადადგა. ის იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც პროგრესის იდეა განავითარა. სწორედ ამან გამოიწვია ჩვენი ინტერესი მისი ფილოსოფიური შრომების მიმართ.

საზოგადოებრივი პროგრესის შესახებ ჰერდერის ძირითადი თვალსაზრისი შეიძლება სამ მთავარ პუნქტად ჩამოყალიბდეს: 1) წინსვლის ისტორიული პროცესის ერთიანობა და მოვლენების მარადიული ცვალებადობა; 2) ამ ერთიანობისა და ცვალებადობის არასწორხაზოვანი ხასიათი; 3) ჰუმანურობა, როგორც ისტორიული პროცესის მთავარი არსი.

საკვანძო სიტყვები: საზოგადოებრივი პროგრესი, ისტორიის ფილოსოფია, გარეგანი და შინაგანი ფაქტორები, კულტურა, ჰუმანიზმი.

JOHANN GOTTFRIED HERDER'S VIEWPOINT ON PROGRESS

Pikria Didebashvili
Associeted Professor of GTU

RESUME

A new, important step in the development of the problem of social progress was taken by the 18th century German educator and philosopher Johann Gottfried Herder (1744 -1803). He was one of the first to develop the idea of progress. This is what aroused our interest in his philosophical works.

Herder's main point of view on social progress can be formulated in three main points: 1) the unity of the historical process of progress and the eternal variability of events; 2) the uneven nature of this unity and variability; 3) humanity as the main essence of the historical process.

Keywords: Social progress, philosophy of history, external and internal factors, culture, humanism.

შესავალი

ჩვენ ვცხოვრობთ ციფრულ ეპოქაში, რომელიც გამოირჩევა თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევებით, ახალი, მზარდი და ცვალებადი ტექნოლოგიებით. თუ თვალს გადავავლებთ კაცობრიობის ისტორიას, უდაოად თვალსაჩინო ფაქტია მისი პროგრესული განვითარება, მიუხედავად კაცობრიობის ცხოვრების გარკვეული პერიოდების რეგრესისა და უკუსვლისა, ამიტომ ფილოსოფოსები, სოციოლოგები, კულტუროლოგები დიდ ინტერესს იჩენდნენ ამ საკითხისადმი. საკითხის აქტუალურობას ისიც განაპირობებს, რომ მისი გაანალიზების გარეშე შეუძლებელია გავიგოთ სოციალური მოვლენის ბუნება, განვჭვრიტოთ განვითარების პროცესი.

საზოგადოებრივი პროგრესის ზოგადფილოსოფიური ცნების განსაზღვრა შემდეგნაირია: პროგრესი არის განვითარების მთავარი მიმართულება, მისი ზეაღმავალი ტენდენცია, მოვლენათა გადასვლა არსებულიდან უფრო მაღალ, სრულყოფილ მდგომარეობაში, წინსვლა უკეთესისაკენ.

აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ აღმავლობიდან ყოველგვარი უკუსვლა დროებითი ხასიათისაა, ცალკეული შემთხვევების გამოკლებით, როცა ცივილიზაცია სრულიად ქრება. უკუსვლას ცალკეულ ხალხთა ცხოვრებაში არასოდეს მიუღია საერთო-საკაცობრიო ხასიათი.

ამდენად, საზოგადოებრივი პროგრესი არის საზოგადოების წინსვლითი მოძრაობა, მისი თანდათანობით განვითარება აღმავალი გზით. ეს ზოგადი და მთავარი ტენდენცია ხორციელდება განვითარების პროცესის დროებითი შეფერხებით, უკუქცევათა დაძლევის გზით. რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ საზოგადოებრივი პროგრესი წინააღმდეგობრივია.

ახალი მნიშვნელოვანი ნაბიჯი საზოგადოებრივ პროგრესის პრობლემის დამუშავებაში XVIII ს-ის გერმანელმა განმანათლებელმა, ფილოსოფოსმა იოჰან გოტფრიდ ჰერდერმა (1744-1803) გადადგა. ის იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც პროგრესის იდეა განავითარა. სწორედ ამან გამოიწვია ჩვენი ინტერესი მისი ფილოსოფიური შრომების მიმართ. ამ კუთხიდან შევეცდებით მისი ნაშრომების გააზრებას.

ძირითადი ტექსტი

იოჰან გოტფრიდ ჰერდერი დაიბადა აღმოსავლეთ პრუსიის ქალაქ მორუნგენში 1744 წლის 25 აგვისტოს, ღარიბი პედაგოგის, გოტფრიდ ჰერდერის ოჯახში, რომელიც ასევე იყო ეკლესიის მსახური, მნათე. ის, თავის მეუღლე ანა ელიზაბეტ პელტცისთან ერთად ექვს შვილს ზრდიდა. 1764 წელს ჰერდერმა დაამთავრა კენიგსბერგის უნივერსიტეტის საღვთისმეტყველო ფაკულტეტი. აქ ის ისმენდა იმანუელ კანტის ლექციებს. პარიზში

მან გაიცნო დალამბერი და დიდრო, ჰამბურგში ჰერდერზე დიდი გავლენა მოახდინა ლესინგმა, რომელმაც ისტორია ზნეობრივი იდეალისაკენ სვლად ჩათვალა. 1770 წელს ჰერდერმა სტრასბურგში გაიცნო გოეთე. მათმა მეგობრობამ სასიკეთო კვალი დატოვა ორივეს შემოქმედებაზე. 1776 წელს ჰერდერი გადასახლდა ვაიმარში. სწორედ გოეთემ მიიწვია ის იქ, რომლის ძალისხმევიდათ, ჰერდერი სიკვდილის ბოლომდე იკავებდა საჰერცოგოს პირველი სასულიერო პირის (კარის მოძღვრის) თანამდებობას.

ფილოსოფოსი, ზურაბ ხასაია ასე ახასიათებს მის შემოქმედებას: „ ჰერდერი ჰქმნის ერთგვარ გადასასვლელს კანტიდან შელინგისა და ჰეგელის „განვითარების ფილოსოფიაზე“. პოეტური პათოსის მოაზროვნემ ადვილად დაივიწყა მასწავლებლის კრიტიკული მეთოდი და „ნივთი თავისთავად“, კერძოდ „ორგანული მატერია“ შემეცნების საგნად გაიხადა, მისი უნივერსალური განვითარების საფეხურზე ალაპარაკდა“ [1; 118].

ამან განაპირობა მასწავლებელთან დაპირისპირება და კანტის მწვავე რეაქცია. კანტმა რეცენზიებში, რომლებიც ჰერდერის ტრაქტატებს უძღვნა, გამოავლინა ჰერდერის სწავლების სუსტი მხარეები და დაუდასტურებელი ტელეოლოგიზმი. კანტთან დაპირისპირებამ ჰერდერს თანდათანობით ჩამოაშორა მოაზრეები. გარდაიცვალა 1803 წელის 18 დეკემბერს. დაკრძალულია ვაიმარის ეკლესიაში.

ფილოსოფოსი ბიძინა ლუტიძე, იოჰან გოტფრიდ ჰერდერს, გეორგ ვილჰემ ფრიდრიხ ჰეგელს, კარლ მარქსს, ამერიკელი სოციოლოგს და ეკონომისტს უოლტ როსტოუს საზოგადოების ზეაღმავალი განვითარების თეორიის მიმდევრებად თვლის. „მათი მტკიცებით, საკაცობრიო ისტორია მიემართება აღმავალი გზით, მაგრამ თითოეული ამ მიმართულების წარმომადგენელთან კაცობრიობის ამ აღმავალი წინსვლის განსაზღვრავს სხვადასხვა ფაქტორი” [2; 2440].

ჰერდერის ფილოსოფიას შეიძლება უწოდოთ ისტორიის ფილოსოფიაა. ისტორია ადამიანთა ძალისხმევით იქმნება, ადამიანი ბუნების ძალების ნაწილი და გაგრძელებაა. ეს ძალები, გარემო პირობების სახით, გავლენას ახდენენ ისტორიასა და კულტურაზე, მაგრამ საზოგადოებრივი განვითარება მაინც შინაგან კანონზომიერებებზე, კერძოდ, კულტურის უფრო ადრეული ფორმების ათვისებაზეა დამოკიდებული. ადამიანები ითვისებენ და ამდიდრებენ წინა თაობების გამოცდილებას. კაცობრიობა, ინდივიდის მსგავსად, გადის ახალგაზრდობისა და სიბერის საფეხურებს.

ისტორიის ფილოსოფიას ჰერდერმა რამდენიმე შრომა მიუძღვნა: „ისტორიის ფილოსოფიის კიდევ ერთი ცდა კაცობრიობის აღსაზრდელად“ (1774), „ კაცობრიობის ისტორიის ფილოსოფიის იდეები.“(1784-1791) ამ შრომაში საზოგადოების განვითარებისა და მისი კანონების საკითხებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია და „წერილები ჰუმანურობის წასახალისებლად“(1793-1797).

ჰერდერი თვლის, რომ სამყარო არის მთლიანი ორგანიზმი, რომლის ყველა ნაწილი, მათ შორის საზოგადოება, საერთო ჯაჭვის შემადგენელი რგოლებია. საზოგადოების განვითარება ბუნების განვითარების გაგრძელებაა. საზოგადოების განვითარების კანონები არ განსხვავდება ბუნების კანონებისაგან. საზოგადოებაც, ბუნების მსგავსად, დაბალი საფეხურიდან მაღლისაკენ კანონზომიერად ვითარდება. საზოგადოების ისტორია უშუალოდ გამომდინარეობს ბუნების ისტორიისგან. სწორედ ამ თვალსაზრისით, ის უპირისპირდება რუსოს და კანტს. რუსოს ისტორია ბუნების საწინააღმდეგო პროცესად ჰქონდა წარმოდგენილი, კანტს კი არამეცნიერულად მიაჩნდა ბუნების მიზნობრივი განხილვა. ჰერდერთან კი საზოგადოების მამოძრავებელი და ისტორიის შემქმნელი ძალები ცოცხალი ადამიანებია.

ჰერდერზე გავლენა იქონია ვიკოს, მონტესქიერის და ტიურგოსმ იდეებმა. თუმცა აკრიტიკებს როგორც წრებრუნვის, ისე განმანათლებელთა ისტორიული პროგრესის თეორიას, კერძოდ, სწორხაზობრივ პროგრესის თეორიას. წრებრუნვის თეორია ისტორიაში ხედავს მხოლოდ იმას, რომ პროცესები „წარმოიქმნებიან და იღუპებიან გაზაფხულის ფოთლებივით“. ეს კი აზრს უკარგავს ისტორიას. ის ამგვარი მოაზროვნეების მეთოდოლოგიური მანკიერების შესახებ საუბრობს. „ადამიანთა ეჭვები და ჩივილი, რომ ისტორიაში მხოლოდ არეულობაა და ძლივს იგრძნობა სიკეთის ზრდა, იმის გამო ხდება, რომ ნაღვლიანი მეგზური თავსი წინ ხედავს მხოლოდ მცირე მონაკვეთს. მან რომ უფრო ფართოდ მიმოიხედოს და ერთმანეთს შეადაროს ისტორიულად მისთვის ცნობილი საუკუნეები, რომ შეაღწიოს ადამიანის ბენებაში განსჯისა და სიმართლის გასარკვევად, მაშინ მისი ეჭვი ბევრად ნაკლები იქნებოდა“ [3; 331]. ამიტომაც არ სწყალობს იმათ, ვისაც ისტორია ჰგონია ერთისა და იმავეს გამეორება და დაბრუნება საწყის მდგომარეობასთან. მისი აზრით, ისტორიაში ვხვდებით უკანდახევებს, მაგრამ ეს არის დაქვემდებარებული მომენტი აღმავლობის გზაზე. კაცობრიობა ვითარდება ზეაღმავალი გზით. კიბის ყოველი საფეხური მომზადებულია წინა საფეხურით და საყრდენია მომდევნო საფეხურისათვის.

ჰერდერი ფრანგ განმანათლებლებთან ერთად აღიარებს ისტორიულ პროგრესს. მაგრამ აკრიტიკებს მათ პროგერსის სწორხაზოვანი გაგებისათვის; იმისათვის რომ განმანათლებლები ისტორიაში მხოლოდ წინსვლის უწყვეტ პროცესს ხედავენ და ვერ ამჩნევდნენ პროგრესის შეჩერების, ერთ ადგილზე ტკეპნის, ზოგჯერ კი უკუსვლის ფაქტებს. როგორც ჰაიმი ამბობს, ჰერდერთან „ისტორიულ მოვლენათა ძაფი ჰგავს ტეხილ ხაზს, რომლის კუთხეები ხან გა-

მოშვერილია და ხან ჩაზნექილი. მიუხედავად ამისა, ეს ძაფი მუდამ წინ მიდის და მივყავართ სულ უფრო მაღლა, მაქსიმუმისაკენ“ [4; 349]. მისი აზრით, წინსვლა არის ერთ-ერთი, მაგრამ არა ერთადერთი მდგომარეობა. ისტორიაში ვხვდებით უკუსვლასაც. ისტორიული სინამდვილის ყოველი ახალი მოვლენა ყოველთვის პროგრესული როდია წინასთან შედარებით; წინსვლა ყოველთვის როდი ხდება ყოველგვარი შეფერხების გარეშე. ამასთან, ჰერდერის აზრით, განმანათლებელთა პროგრესის იდეა მხოლოდ განათლების პროგრესს გულისხმობს, მაგრამ თავისთავად განათლების გავრცელება ყოველთვის როდია პროგრესის მაჩვენებელი. ევროპელებს განათლება და კულტურა შეაქვთ დაპყრობილ ხალხებში, მაგრამ ეს სრულიადაც არ არის პროგრესი. რა არის საერთოდ გარედან ძალით თავს მოხვეული სხვისი კულტურა, რომელიც იწვევს საკუთარი კულტურის ჩანასახების მოსპობას? კითხულობს ჰერდერი და პასუხობს: „იგი თრგუნავს და ამახინჯებს ან მაშინვე გადაჩეხავს უფსკრულში“ [3; 293].

ჰერდერი აკრიტიკებს პროგრესის თეორიის იმ ავტორებს, რომლებიც პროგრესს აღიარებენ მხოლოდ წარსულში, მათი თანამედროვეობა კი მიაჩნიათ უმაღლეს დონედ. ჰერდერის აზრით, როგორი სრულყოფილიც უნდა ჩანდეს გარკვეულ ეპოქაში ისტორიული წყობა, იგი არ შეიძლება მარადიული იყოს. ბუნება მარადიული ცვალებადობის სფეროა და საზოგადოებაში არაფერია უცვლელი, რადგან საზოგადოება ბუნების გაგრძელებაა და მისი ნაწილია.

და მართლაც, თანამედროვე სოციალური ფილოსოფია უარყოფს სრულყოფილი საზოგადოების იდეას, რომელიც თითქოს გადალახავს ადამიანის ტრაგიზმსა და ტანჯვას. პროგრესის იდეის კრიზისის მიზეზი თავად ინდუსტრიული ეპოქის არსშია; მის დაუცხრომელ მისწრაფებაში ფლობის, აბსოლუტური თავისუფლებისა და უპასუხისმგებლობედნიერებისაკენ, რასაც მივყავართ აგრესიულობისა და ძალადობის ზრდისკენ.

ამავდროულად, ეს კლასიკური რაციონალიზმის კრიზისიცაა. სხვა სიტყვებით, აუცილებელია უარი ვთქვათ იმ რწმენაზე, თითქოს შესაძლებელია სიკეთის აბსოლუტური განხორციელება და ისტორიის დრამის ბედნიერი ეპილოგი. პროგრესი ისტორიაში მიწიერი სამოთხის მოპოვება კი არაა, არამედ მარადიული იდეალისაკენ მუდმივი მისწრაფება: ეს არის მოუღლელი მცდელობა ყოველდღიურობაში ამ იდეალის დამკვიდრებისა. `ცივილიზაცია არ მთავრდება, სრულყოფილების აზრით, რომელიმე ერთ ეტაპზე, თუნდაც ყველაზე ინდუსტრიულზეც, რომ ყოველთვის რჩება შემდგომი გზა. როგორც ჰერდერი იტყოდა, ეს გონებისა და მორალის მოძრაობაა სრულყოფისკენ.

„ჰერდერი იმათაც აკრიტიკებს, ვინც პროგრესს იმ საბუთით უარყოფს, რომ ისტორიის ცალკეული პერიოდი არ შეიცავს რაიმე სანუგეშოს. მათი შეცდომა იმაშია, რომ ისინი ისტორიის განხილვისას იღებენ დროის მცირე მონაკვეთებს, მაშინ როდესაც პროგრესის დანახვა შეიძლება მხოლოდ დიდი ისტორიული მონაკვეთების განხილვის დროს“ [2; 257].

ჰერდერს მტკიცედ სწამს წინსვლის მთავარი პირობა, ისტორიული პროცესის ერთიანობა, განვითარების მთავარი ღერძის უწყვეტობა, რომლის გარეშე ისტორიული პროგრესი შეუძლებელია.

ამიტომ სწორია შემდეგი შეფასება; „ ჰერდერი უფრო ფართოთ უდგებოდა ისტორიის თემას და ახლოს არ იკარებს წინსვლის აკვიატებულ სქემას. ამიტომ საზოგადოების წინსვლა არ მიაჩნია მას ისტორიის რაღაც უპირობო და უტყუარ ნიშნად, რომელიც ყველგან და ყოველთვის ეტყობა ისტორიას. წინსვლა მხოლოდ დიდი ისტორიული პერიოდის გეზია. ისტორიის ცალკეული მონაკვეთები კი ურთიერთსაწინააღმდეგო დინებების განუწყვეტელი და სისხლიანი ჭიდილია“[1; 120].

ჰერდერისათვის უცხოა ისტორიული მემკვიდრეობის უარყოფა. ხელოვნება, მეცნიერება, სახელმწიფოებრივი მმართველობა, რელიგია და ა.შ. წარმოშობილია განსაზღვრულ პირობებში და განუმეორებელია. კაცობრიობა გაივლის კულტურის განვითარების განსაზღვრულ, თანმიმდევრულ საფეხურებს. კულტურის ზრდა ისტორიის კანონია, ხალხთა განვითარება ერთიანი ჯაჭვია, რომელშიც ყოველი რგოლი აუცილებლობითაა დაკავშირებული წინა და შემდგომ რგოლებთან. ყველა ხალხი სარგებლობს თავის წინამორბედთა მიღწევებით და ამზადებს ნიადაგს მემ-კვიდრეობისათვის. მაგალითად, საბერძნეთმა ისარგებლა ეგვიპტის მემკვიდრეობით და შემდგომი ბიძგი მისცა რომაული კულტურის განვითარებას. თანამედროვე კაცობრიობა მემკვიდრეა ყოველივე იმისა, რაც წინამორბედმა თაობებმა გამოიმუშავეს.

ჰერდერი საზოგადოების განვითარების მიზეზებს გარეგანი და შინაგანი ფაქტორების ურთიერთქმედებაში ხედავს. გარეგან ფაქტორებში გულისხმობს კლიმატის მოქმედებას, ამ სიტყვის ფართო გაგებით, მაგრამ ბოლომდე არ სჯერა გეოგრაფიული დეტერმინიზმის, რადგან ხშირად გეოგრაფიული პირობების უცვლელობის დროს, ხალხის მდგომარეობა სრულიად იცვლება. ამიტომ განვითარების მთავარ სტიმულად შინაგან, ორგანულ ძალებს მიიჩნევს, თუმცა ამ ძალების რაობას ჰერდერი ერთობ ბუნდოვნად გადმოსცემს, მაგრამ ჩანს რომ მთავარი ორგანული ძალა კულტურაა.

კულტურა, ისეთი ფაქტორია, რომელიც მხოლოდ საზოგადოებას ახასიათებს და გადამწყვეტ როლს ასრულებს მის განვითარებაში. კულტურა ადამიანთა მოღვაწეობის პროდუქტიცაა და მისი სტიმულიც. კულტურის გამოხატულებაა, უწინარეს

ყოვლისა, ენა. ის ადამიანებს აკავშირებს ერთმანეთთან და, აზროვნებასთან ერთად, უდიდეს როლს ასრულებს საზოგადოების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. ადამიანთა საზოგადოების პროგრესის მნიშვნელოვანი საშუალებებია აგრეთვე მეცნიერება და ხელოვნება. ჰერდერი ასევე მკაფიოდ გახაზავს რელიგიისს როლსაც. მიაჩნია, რომ მისი უქონლობა ხალხის სიველურის ნიშანია.

ისტორიული პროგრესის ჰერდერისეური კონცეფცია განუყრელად არის დაკავშირებული ჰუმანიზმის იდეებთან. „ამ სიტყვით „ჰუმანურობა" მინდოდა ყველაფერი, რაც კი მითქვავს ადამიანის გამო, მისი კეთილშობილების, გონების, თავისუფლების, დედამიწის ძალებზე ბატონობის აღზრდისთვის" [5; 84].

„იგი იზიარებს შეხედულებას საზოგადოების განვითარების სპირალისებური ხასიათის შესახებ და მის მთავარ შინაარსად საზოგადოებრივი ცხოვრების თანდათანობით ჰუმანიზაციას თვლის" [6; 428]. მისი აზრით, ჰუმანისტური იდეალის განხორციელება მსოფლიო ისტორიის მიზანი და საბოლოო ფაზაა. კაცობრიობის ისტორია სხვა არაფერია, თუ არა მოძრაობა ჰარმონიისა და სრულყოფისაკენ, ჰუმანიზმისაკენ, რომელიც ადამიანის ბუნებას შეესაბამება. ისტორიული პროცესის განმსაზღვრელი შინაარსი, ისტორიული წინსვლის მთავარი მოტივია ჰუმანიზმი. ყოველი ეპოქა, ჰუმანურობის ესა თუ ის სახეა, ამა თუ იმ ხარისხის ჰუმანურობაა.

ჰერდერის ჰუმანურობა მძაფრად გამოვლინდა ევროპელთა კოლონიალიზმის მკაცრი კრიტიკის დროს. ის სასტიკად გმობს შოვინიზმს, გერმანელ შოვინისტებს, რომლებიც თითქოს რჩეული რასის წარმომადგენლები არიან და თავისი მოწოდებით მაღლა უნდა იდგნენ სხვა ხალხზე. „ყოველი ერი უნდა გრძნობდეს წუხილს, როდესაც შეურაცხყოფას აყენებს სხვა ერს." ჰერდერთან ჰუმანურობის გზებისა და საშუალებების გაგება არ სცილდება ფრანგი განმანათლებლების თვალსაზრისს.

დასკვნა

ამგვარად, საზოგადოებრივი პროგრესის შესახებ ჰერდერის ძირითადი თვალსაზრისი შეიძლება სამ მთავარ პუნქტად ჩამოყალიბდეს: 1) წინსვლის ისტორიული პროცესის ერთიანობა და მოვლენების მარადიული ცვალებადობა; 2) ამ ერთიანობისა და ცვალებადობის არასწორხაზოვანი ხასიათი; 3) ჰუმანურობა, როგორც ისტორიული პროცესის მთავარი არსი.

ჰერდერის აზრით საზოგადოებრივი პროგრესი ნიშნავს საზოგადოების წინსვლას უმაღლესი მდგომარეობისაკენ -ჰუმანურობისაკენ. პროგრესის შინაარსი სწორედ ესაა. როდესაც „კაცობრიობას განვიხილავთ ისეთად, როგორსაც ჩვენ მას ვიცნობთ, მასში მოცემული კანონების მიხედვით, მასში ჩვენ ვერ ვნახავთ ვერაფერს უფრო მაღალს, ვიდრე ჰუმანურობაა" [3; 269]. კეთილდღეობა და ბედნიერება ჰუმანურობის განშტოებებია.

პროგრესის ჰერდერისეულ თეორიის მთავარი სიახლე ისაა, რომ აქ დანახულია წინსვლის პროცესის ერთიანობა, მისი არასწორხაზობრივი ხასიათი; გერმანელი მოაზროვნე შეეცადა დაეძლია როგორც ვიკოს, ასევე ფრანგი განმანათლებლების კონცეფციათა ცალმხრივობა. ამ თეორიის მეორე სიახლე ისტორიული პროცესის მთავარ კრიტერიუმად ჰუმანიზმის დასახელებაა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ხასაია ზ., სოციალური ფილოსოფიის ისტორის, გამომ., „უნივერსალი", თბ., 2008;
2. ლუტიძე ბ., სოციოლოგია, I ნაკვეთი, ლეგა, თბ., 2002;
3. Гердер. Избранные сочинения, Москва-Ленинград, 1959;
4. Гайм-Гердер, М., 1883;
5. Гулыга А. В. Гердер, Москва, 1975;
6. Герцер И. Идеи к философии истории человечества, М., 1977.